შ. პ. ს. ჯი აი პი ენ
საპროექტო-სამშენებლო სტუდია

## კონსტრუქციული დასკვნა

## ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №3-ში "ს/ს ტერა ბანკის" შენობის გაძლიერების პროექტის განხორციელებისას მომიჯნავე შენობების მდგრადობასთან დაკავშირებით

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №3-ში "ს/ს ტერა ბანკის" შენობა ოთხსართულიანია, სარდაფით.

რეკონსტრუქციისას შენობის ეზოს მხარეს მოეწყო მიშენება და დაშენება, რომელიც განხორციელდა ლითონის კონსტრუქციებით.

რეკონსტრუქციის შემდეგ შენობამ განიცადა ჯდენები, რის გამოც ჩატარდა გაძლიერებითი სამუშაოები. ეს სამუშაოები პირველ ეტაპზე შენობის ძველ ნაწილში ჩატარდა. შემდეგ გამაგრდა მიშენებული ნაწილიც. გაუმაგრებელი დარჩა აღმოსავლეთ ფასადის კედელი. ამჟამად სწორედ ამ კედელზე შეიმჩნევა ჯდენის დეფორმაციები. ბზარების მიმართულების მიხედვით ირკვევა, რომ ჯდენა მიმდინარებს ამ კედლის სამხრეთ ნაწილში. კრიტიკულ ფრაგმენტში მოხდა გეოლოგიური მდგომარეობის დაზუსტება. გამოირკვა, რომ ამ ფრაგმენტში საძირკველი არ არის ჩაღრმავებული ძირითად ქანებამდე.

პროექტი ითვალისწინებს შენობის აღმოსავლეთ კედლის საძირკვლის გაძლიერებას. ასევე გათვალისწინებულია შენობის კედლებში არსებული ბზარების გაძლიერება ლითონის ბადეების გამოყენებით.

პროექტი ითვალისწინებს მზიდი კედლის გასწვრივ წერტილოვანი საძირკვლებით ძირითად ქანებამდე ჩაღრმავებას და ძველი საძირკვლის ამ საძირკვლებზე დაფუძნებას. ახალი საძირკვლები ერთმანეთთან რკინაბეტონის საძირკვლის კოჭით არიან დაკავშირებული.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოები ლოკალური ჭაბურღილების ამოღების გზით განხორციელდება. თითოეული ჭაბურღილის ამოღების შემდეგ მოხდება მისი დაბეტონება. სამუშაოების წარმოება მხოლოდ ცალკეულ წერტილებში მოხდება და ამდენად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ გამოიწვევს მეზობელი შენობების მდგრადობის გაუარესებას.

შ.პ.ს. "ჯი აი პი ენ"-ის დირექტორი: ო. ქვრივიშვილი

3 აგვისტო, 2018 წ.

შ. პ. ს. "ჯი აი პი ენ, საპროექტო-სამშენებლო სტუდია
თბილისი, სტურუას №24
ტელეფონი: 599 1500883